

ლაურა ესკივალი

# როგორც წყალია შოკოლადისთვის

ესპანურიდან თარგმნა  
მაკა გოგოლაშვილმა



გამომცემლობა  
ინტელექტი

საქრძალული ნიბნეზის თარო  
საგამომცემლო პროექტის ავტორი  
**გვანცა ჯოგავა**

ლაურა ესკიველი  
**როზორც ნყალია შოკოლადისთვის**

LAURA ESQUIVEL  
**OMO AGUA PARA CHOCOLATE**

*translated by Maka Gogolashvili*

რედაქტორები  
ელზა ახვლედიანი  
ზვიად კვარაცხელია

დამკაბადონებელი  
ლიკა სხირტლასძე

გარეკანის დიზაინერი  
თეონა ჭანიშვილი

© Laura Esquivel, 1989

ISBN 978-9941-470-90-5

© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2017.

თ ა ვ ი |



ნიანვარი



საშობაო ღვინოები



შემაღბენლობა:

ერთი ქილა სარდინი;  
500 გ ჩორისო;  
1 თავი ხახვი;  
ორვეანო;  
ერთი ქილა ჩილე სერანო<sup>1</sup>;  
10 ტელერა.



---

<sup>1</sup> მთის წიწაკა.

## მომზადების წესი:

ხახვი დაჭერით წვრილად. დაჭრისას ცრემლი რომ არ წამოგ-  
ცვივდეთ, გირჩევთ, ხახვის პატარა ნაჭერი დაიდოთ კეფაზე. ამ  
საქმეში ყველაზე უსიამოვნო ის არის, რომ თვალეები მაშინვე გი-  
ლიზიანდება და ღვარად გდის ცრემლი. თქვენი არ ვიცი, მაგრამ  
საკუთარ თავზე გამომიცდია, რომ ამ უსიამო წუთებს ბოლო არ  
უჩანს. დედა მეუბნება, ამ საკითხში შენც ბებიდა ტიტასავით  
მგრძნობიარე ხარო.

ჩემს ბებიდაზე კი ჰყვებიან, რომ ძალიან მგრძნობიარე ყო-  
ფილა და როცა დედამისი ელენა ორსულობის დროს ხახვს  
ჭრიდა, ტიტა თურმე მუცელში ისეთი განწირული ხმით ტიროდა,  
რომ ნახევრად ყრუ მზარეულ ნაჩასაც კი ესმოდა. ერთ დღესაც,  
როგორც ამბობენ, ტიტას ასეთ განწირულ ტირილს დედამისის  
ნაადრევი მშობიარობა მოჰყოლია და ვიდრე ჩემი დიდი ბებია  
აზრზე მოვიდოდა, ბავშვი ზედ სამზარეულოს მაგიდაზე მოველი-  
ნა ქვეყნიერებას. სამზარეულოში კი ამ დროს თურმე ვერმიშე-  
ლის წვნიანის, ქონდრის, ქინძის, დაფნის ფოთლის, ადუღებული  
რძის, ნივრის და, რალა თქმა უნდა, ხახვის სურნელი ტრიალებ-  
და. ალბათ მიხვდით, რომ ახალშობილს ტაკოზე ტრადიციული  
ხელის შემორტყმა არ დასჭირვებია, რადგან ის მუცელშივე

ტიროდა. ვინ იცის, იქნებ სულაც გრძნობდა, რომ ბედად სამუდამოდ ცალად დარჩენა ეწერა. ნაჩა ამბობდა, მუცლიდან ტიტა ამ სამყაროში ცრემლების ნიაღვარმა გამოისროლა, მერე კი სამზარეულოს მაგიდა მთლად აავსო და იატაკზეც გადმოვიდაო.

სალამო ხანს, აურზაურმა რომ გადაიარა და მაგიდაზე და სამზარეულოს წითელი ქვის ფილებით მოპირკეთებულ იატაკზე დაღვრილი ცრემლები მზის სხივებმა ააშრო, ნაჩამ ნაღვეცი მოხვეტა და ხუთ კილოგრამამდე მარილი შეაგროვა, რომელსაც სამზარეულოში კარგა ხანს იყენებდნენ. ალბათ ქვეყნად ასეთი უცნაური მოვლინების გამო იყო, ტიტამ საოცრად რომ შეიყვარა სამზარეულო და ცხოვრების დიდი ნაწილი სწორედ იქ გაატარა. ტიტას დაბადებიდან ორი დღის შემდეგ მამამისი, ჩემი დიდი ბაბუა, მოულოდნელად გარდაცვლილა ინფარქტით. ნერვიულობაზე თურმე დიდ ბეზიას რძე გაუშრა და, რაკი იმხანად რძის ფხვნილი არ არსებობდა და ძიძაც ვერსად იშოვეს, სადარდებელი გაუჩნდათ, რითი გამოეკვებათ ბავშვი. ბოლოს ნაჩამ, რომელიც გათხოვილი არ ყოფილა, შვილებიც არასოდეს ჰყოლია, მაგრამ კარგად ერკვეოდა ჭამა-სმის საკითხებში, მშვიერი ბავშვის დანაყრება კისელი-ატოლეთი და ჩაით მოახერხა. დიახ, ეს ის ნაჩა იყო, რომელმაც წერა-კითხვა არ იცოდა, სამაგიეროდ, სამზარეულოს საქმეებში კარგად იყო ჩახედული. ჰოდა, დედა ელენამაც მაღლიერებით მიიღო მოახლის წინადადება, რადგან საზრუნავი სხვაც ბევრი ჰქონდა. რანჩოს გონივრული მოვლა-პატრონობა სჭირდებოდა, რაც შვილების გამოკვებას და მათთვის სათანადო განათლების მიცემას ნიშნავდა. ამიტომ ახალშობილის კვებაზე ზრუნვა მისთვის უკვე მეტისმეტი იყო.

ტიტა სამზარეულოში დაიბადა, კერძების გარემოცვაში გაიზარდა და ჯანმრთელი და მშვენიერი გოგონა დადგა. ალბათ, საჭირო არ არის იმის ახსნა, თუ რატომ გაუჩნდა მას საჭმელთან მიმართებით მეექვსე გრძნობა ან რატომ იყო ბავშვის ყველა ჩვე-

ვა დამოკიდებული სამზარეულოს განრიგზე. დილაობით სუნით გრძნობდა, რომ ლობიო მოხარშული იყო, შუადღეს ხვდებოდა, როდის ადულდებოდა ქათმების გასაპუტი წყალი, საღამოს კი, ვანშმისთვის პურს რომ აცხობდნენ, გოგონამ უკვე იცოდა, რომ თავადაც უნდა მოეთხოვა საჭმელი. მართალია, როცა ნაჩა ხახვს ჭრიდა, ტიტას ცრემლები წასკდებოდა ხოლმე, მაგრამ რაკი ამ ცრემლების ნამდვილი მიზეზი ორივემ იცოდა, ამას ყურადღებას არ აქცევდნენ. მეტიც, ეს ახალისებდათ კიდევ. და რადგან ტიტა ბავშვობიდან ერთმანეთისგან მთლად კარგად ვერ ასხვავებდა სიხარულისა და მწუხარების ცრემლებს, ხშირად სიცილსაც ტირილით გამოხატავდა.

ბუნებრივია, ტიტას მიერ განცდილი ნებისმიერი ამქვეყნიური სიამოვნება საჭმელთან იყო დაკავშირებული. ან კი, განა ადვილი იყო ადამიანისთვის, რომელიც ცხოვრებას სამზარეულოდან ჭვრეტდა, გარე სამყაროს შეცნობა?! ეს უზარმაზარი სამყარო სამზარეულოს კარიდან იწყებოდა და სახლის ინტერიერში გრძელდებოდა. ტიტას სამყარო კი უკანა ეზოთი, ხეხილის ბაღითა და ბოსტნით შემოიფარგლებოდა. იქ ის იყო მბრძანებელი. სრულიად სხვა თვალთ შეჰყურებდნენ ამ სამყაროს მისი დები, რომლებსაც აშინებდათ სამზარეულოში ჩასაფრებული ფარული საფრთხეები. ის, რაც ტიტას აქ ახალისებდა და ართობდა, მათ სულელური და სახიფათოც კი ეჩვენებოდათ. ერთხელ ტიტა შეეცადა დები დაერწმუნებინა, საოცარი სანახავია გავარვარებულ ქურაზე მოხტუნავე წყლის წვეთების ყურებაო და სიმღერით სველი ხელების ქურაზე დაბერტყვა დაიწყო, რათა წყლის წვეთების „ცეკვის“ ცქერით დამტკბარიყო. სამზარეულოს კუთხეში მიმჯდარი როსაურა ამ დროს გაოცებული ადევნებდა თვალს დის საქციელს. მისგან განსხვავებით, ხერტრუდისი, რომელსაც ძალიან უყვარდა რიტმი, მოძრაობა და მუსიკა, თამაშში სიამოვნებით აჰყვამ დას. ბოლოს და ბოლოს, როსაურაც იძუ-

ლებული გახდა, დებისთვის გართობაში მხარი აება, მაგრამ ხელების დასველებას ერიდებოდა და თამაშის დროს მეტისმეტ სიფრთხილეს იჩენდა, ამიტომ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. ტიტა ცდილობდა, დახმარებოდა დას, ურჩევდა, გაეებდა და გავარვარებულ ქურასთან ახლოს მიეტანა ხელები, მაგრამ როსაურა არ ემორჩილებოდა. ამ ბრძოლამ იქამდე გასტანა, ვიდრე გაბრაზებულმა ტიტამ დას ხელი არ გაუშვა და როსაურამ ღუმელზე ხელები არ დაიწვა. ტიტა დასაჯეს და აუკრძალეს დებთან სამზარეულოში თამაში, მაგრამ ახლა მან ნაჩა ჩართო თამაშებში და მასთან ერთად იგონებდა ათასგვარ გასართობს, რომელიც ძირითადად სამზარეულოს საქმიანობას უკავშირდებოდა. ერთხელ ისინი ქალაქის ცენტრალურ მოედანზე შეესწრნენ, ერთი კაცი გრძელი საჰაერო ბუშტებისგან ცხოველების ფიგურებს რომ აკეთებდა და გადაწყვიტეს, ასეთივე ფიგურების გამოსაყვანად ჩორისო<sup>1</sup> გამოეყენებინათ. ჩორისოსგან მათ, ნაცნობი ცხოველების გარდა, ფანტასტიკური, ზღაპრული არსებების ფიგურებიც გამოძერწეს, რომლებსაც გედის ყელი, ძაღლის თათები ან ცხენის კუდი ჰქონდათ.

საქმე მაშინ რთულდებოდა, როცა ჩორისოს შესაწავად მათ დაჭრას იწყებდნენ. ტიტას ფიგურები არ ემეტებოდა, თუმცა მათ შეწვას ნეტარებით ადევნებდა თვალს, როდესაც საქმე საშობაო ღვეზელების მომზადებაზე მიდგებოდა.

საშობაო ღვეზელებისთვის ჩორისოს შეწვა დიდად საფრთხილო საქმეა: ის ჯერ ნელ ცეცხლზე უნდა მოიშუშოს, თუმცა არ უნდა დაიბრაწოს; ცეცხლიდან რომ გადმოდგამენ, ფხაგამოცლილ და შავლაქებმოშორებულ სარდინებს ჩაამატებენ, ბოლოს კი მომზადებულ მასას ხახვით, ცხარე წიწაკით და ორეგანოთი შეკვამზავენ.

---

<sup>1</sup> წიწაკით შეზავებული ღორის ხორცის ძეხვი.



ვიდრე ღვეზელებისთვის სატენი მზადდებოდა, ტიტა სამზარეულოში დატრიალებული სურნელით ტკბებოდა. სიამოვნებდა ამ სურნელების შეგრძნება, რადგან ისინი წარსულთან, მის თანმხლებ ხმებთან და შეგრძნებებთან აბრუნებდა, რომლებიც აწმყოში აღარ არსებობდნენ. გოგონას მოსწონდა ამ მოგონებებთან ერთად მოგზაურობა, თუმცა ვერა და ვერ ახერხებდა, ღვეზელების პირველყოფილი სუნი შეეგრძნო. ალბათ, იმიტომ, რომ ეს სუნი მის დაბადებამდე არსებობდა. ვინ იცის, იქნებ სწორედ სარდინებისა და ჩორისოს სასიამოვნო სუნმა მიიზიდა ტიტა, როცა დედა ელენას მუცელში მოთავსდა, იგი მიიჩნია დედად, მერე კი ამ გზით შევიდა დე ლა გარსას ოჯახში, სადაც გემრიელი ჭამა იცოდნენ და განსაკუთრებულ ჩორისოს ამზადებდნენ.

დედა ელენას რანჩოში ჩორისოს მომზადება მთელი რიტუალი იყო. ნიორი აუცილებლად წინა დღით უნდა გაერჩიათ, ჩილიც გაესუფთავებინათ და სუნელები დაეფქვათ. ჩორისოს მომზადებაში ყველანი მონაწილეობდნენ: დედა ელენა და მისი ქალიშვილები – ხერტრუდისი, როსაურა და ტიტა. მზარეული ნაჩა და მოახლე ჩენჩაც ჩართული იყვნენ ამ საქმეში. საღამოობით ქალები სამზარეულოს მაგიდას შემოუსხდებოდნენ და ჩორისოს ამზადებდნენ. ლაპარაკსა და ჭორაობაში დრო შეუმჩნევლად გადიოდა და როგორც კი დაბინდებოდა, დედა ელენა მოკლედ იტყოდა ხოლმე, დღეისთვის საკმარისიაო.

დიასახლისს გამეორება არ სჭირდებოდა, ყველამ იცოდა, ამ დროს როგორ უნდა მოქცეულიყო. ჯერ მაგიდა უნდა აელაგებინათ, მერე კი სხვა საქმეებისთვისაც მიეხედათ: ქათმები საქათმეში შეერეკათ, საუზმისთვის ჭიდან წყალი ამოეღოთ და შეშა შემოეზიდათ. იმ დღეს დაუთოვება, კერვა და ქარგვა არავის ევალეობდა, ყველა თავ-თავის ოთახში შედიოდა, ლოცვებს კითხულობდა და იძინებდა.

ერთ ასეთ საღამოს, ვიდრე დიასახლისი მაგიდიდან ადგომის ბრძანებას გასცემდა, ტიტამ, რომელიც იმხანად თხუთმეტი წლის

იყო, დედას აკანკალებული ხმით აცნობა, პედრო მუსკის შენტან საუბარი უნდაო.

– კი მაგრამ, რაზე უნდა დამელაპარაკოს? – კარგა ხნის დუმილის შემდეგ ჰკითხა დედამ ტიტას, რომელსაც მოლოდინით გული ეკუმშებოდა და სუნთქვა ეკვროდა.

– არ ვიცი, – ძლივს გასაგონად მიუგო გოგონამ.

დედამ ქალიშვილს ისეთი თვალებით შეხედა, რომ ტიტამ ინატრა, მიწა გასკდომოდა. დედა ელენამ კი მიუგო:

– თუ შენი ხელის სათხოვნელად აპირებს მოსვლას, გადაეცი, ამ განზრახვაზე ხელი აიღოს, ამოდ დაშვრება და მეც მომაცდენს. ძალიან კარგად იცი, რომ დებში ყველაზე უმცროსი ხარ, ამიტომ ვიდრე ცოცხალი ვარ, შენ უნდა მიპატრონო! – თქვა დედა ელენამ და წამოდგა. მერე სათვალე წინსაფრის ჯიბეში ჩაიდო და საბოლოო ბრძანება გასცა:

– დღეს ამით დავამთავროთ!

ტიტამ მშვენივრად იცოდა, რომ მათს ოჯახში წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა, მაგრამ თავის სიცოცხლეში პირველად სცადა დედისთვის სიტყვის შებრუნება:

– მე კი ვფიქრობ, რომ...

– შენ არაფერს ფიქრობ და ამით დავასრულოთ ლაპარაკი! თაობიდან თაობამდე ამ ოჯახში ეს ადათი არავის დაურღვევია და ვერც ჩემი შვილი გაბედავს ამას!

ტიტამ თავი დახარა და ატირდა. ცრემლები მაგიდაზე ეცემოდა და გოგონა მიხვდა, რომ ეს მისთვის გამოტანილი განაჩენი იყო. იმ წუთიდან მხოლოდ მან და მაგიდამ იცოდნენ, რომ ამ უცნაურ, უაზრო ადათს ვერ შეცვლიდნენ. მაგიდა ტიტას გაჩენის დღიდან მისი ცრემლების მოწმე უნდა გამხდარიყო, გოგონა კი ამ სულელურ ადათს დამორჩილებოდა.

თუმცა უნდა ითქვას, რომ ტიტა სულაც არ გამოირჩეოდა თვინიერებით და სიამოვნებით მოისმენდა, თუ ვინმე ეტყოდა,

ვის მოუვიდა აზრად ამ სულელური ადათის შემოღება. ძალიან უნდოდა გაეგო, ვინ იყო ის „ჭკვიანი“, ვინც სცადა, ამ გზით უზრუნველყო ქალების სიბერე. მაგრამ თუ ტიტას არ გაათხოვებდნენ, ბუნებრივია, არც შვილები ეყოლებოდა, ჰოდა, თავად რომ დაბერდებოდა, ვილას უნდა ეზრუნა მასზე? ან ვინ თქვა, რომ გაუთხოვარი ქალიშვილები მშობლებზე ადრე არ შეიძლებოდა დახოცილიყვნენ? ან იმ ქალებზე ვინ იზრუნებდა, რომლებიც კი თხოვდებიან, მაგრამ შვილებს ვერ აჩენენ? რომელ კვლევაზე დაყრდნობით დაასკვნეს, რომ მხოლოდ უმცროს ქალიშვილს ევალება დედაზე ზრუნვა? ვინმეს უფიქრია მათს განცდებზე? ან მათს უფლებებზე? გამოდის, რომ თუ გათხოვების უფლება არა აქვთ, სიყვარულიც ეკრძალებათ. საერთოდ, აქვთ კი მათ ამქვეყნად რამის უფლება?

ტიტამ კარგად იცოდა, რომ, სამწუხაროდ, ამ კითხვებზე პასუხები არ არსებობდა. დედა გარსას ოჯახში ამ დაუწერელ კანონს უდრტვინველად ემორჩილებოდნენ.

დედა ელენამ თითქოს არაფრად ჩააგდო ტიტას შეპასუხება, მაგრამ ნაწყენი გავიდა სამზარეულოდან. ამის შემდეგ მთელი კვირა ქალიშვილისთვის ხმა აღარ გაუცია და მხოლოდ იმ დღეს დაელაპარაკა, როცა შვილების მიერ შეკერილი ტანსაცმელი უნდა შეემოწმებინა. შეათვალიერა ტიტას ნახელავი, რომელიც მას წინასწარ დაუბლანდავად და მოუშადავად შეეკერა და უთხრა:

– მშვენიერია, ყოჩაღ! გვირისტი შესანიშნავად გაგივლია, თუმცა წინასწარ არ დაგიბლანდავს, არა?

– არა, არ დამიბლანდავს, – მიუგო ტიტამ და გოცნებული დარჩა, რომ დედამ მდუმარების აღთქმა დაარღვია.

– ჰოდა, რაკი ასეა, ახლა ამას დაარღვევ, მერე კი დაბლანდავ და ხელახლა შეკერავ. ნახელავს მხოლოდ ამის შემდეგ შეგიმოწ-

მეზ. ამას კი იმიტომ გაკეთებინებ, რომ სულ გახსოვდეს ანდაზა, მოჩქარეს მოუგვიანდესო.

– კი მაგრამ, რატომ? ეს იმ შემთხვევაში უნდა დაგეგვალე-ბინათ ჩემთვის, თუ საქმეს უხარისხოდ შევასრულებდი! თქვენ კი განა ერთი წუთის წინ თავად არ მითხარით...

– ისევ მეურჩები და თავნებობ, არა? ისიც საკმარისია, კერვის წესების უგულვებელყოფა რომ გაბედე.

– მაპატიეთ, დედიკო, ასე აღარასოდეს მოვიქცევი.

ტიტას ნათქვამმა დედას გული მოუღობო, რადგან სიტყვა „დედიკო“ მან ძალიან ნაზად და ფრთხილად, თანაც დროულად წარმოთქვა. დედა ელენას აზრით, სიტყვა „დედა“ ერთობ უხეშად და უდიერად ჟღერდა, ამიტომ შვილებს ბავშვობიდანვე აიძულებდა, მისთვის „დედიკო“ დაეძახათ. მხოლოდ ტიტა წარმოთქვამდა ხოლმე ამ სიტყვას ისე უადგილოდ და ისეთი უჩვეულო ხმით, რომ ხშირად ალიყურსაც იმსახურებდა. ამჯერად კი მშვენივრად გამოუვიდა, ამიტომ დედა ელენამ თავი ამაცად შემართა და გაიფიქრა, როგორც იქნა, ეს ჯიუტი გოგო მოვდრიკეო, მაგრამ მის სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა.

მეორე დღეს ტიტას ხელის სათხოვნელად დედა ელენას პედრო მუსკისი მამის თანხლებით ეწვია. ამ სტუმრობამ ოჯახი ძალიან ააფორიაქა, რადგან მათ არავინ ელოდა, თანაც წინა დღეს ტიტამ პედროს ნაჩას ძმის პირით შეუთვალა, განზრახვაზე ხელი აეღო. ნაჩას ძმა იფიცებოდა, რაც დამავალეთ, ყველაფერი გადავეცი ბატონ პედროს, მაგრამ, ეტყობა, რაღაც გაუგებრობა მოხდაო. დედა ელენამ სტუმრები სასტუმრო ოთახში თავაზიანად მიიღო და მოახსენა, რა მიზეზითაც ეკრძალებოდა ტიტას გათხოვება.

– მესმის, რომ თქვენი ვაჟის დაქორწინება გადაწყვიტეთ, ამიტომ სხვა წინადადებას შემოგთავაზებთ: ჩემი უფროსი ქალიშვილი როსაურა ტიტაზე მხოლოდ ორი წლითაა უფროსი და მისი გათხოვების წინააღმდეგი არ ვიქნები...

ამის გაგონებაზე მოახლე ჩენჩამ დედა ელენას ლამის ზედ გადააპირქვავა ლანგარი, რომლითაც პედროსთვის და დონ პასკუალისთვის ყავა და ნამცხვარი შეეტანა. მოახლემ სტუმრებს მოუბოდიშა და სასწრაფოდ გავარდა სამზარეულოში, რათა ტიტასთვის, როსაურასთვის და ხერტრუდისისთვის დაწვრილებით ეცნობებინა, რა ხდებოდა სასტუმრო ოთახში. ჩენჩას დანახვაზე ყველამ საქმე შეწყვიტა და მას მიაჩერდა.

ქალები საშობაო ღვეზელების მზადებაში იყვნენ. ალბათ მიხვდით, რომ ღვეზელებს, ტრადიციულად წესისამებრ, საშობაოდ აცხობდნენ, მაგრამ ამჯერად ტიტას დაბადების დღისთვის იყო განკუთვნილი. 30 სექტემბერს მას 16 წელი უსრულდებოდა და სურდა ამ დღეს მისი საყვარელი ღვეზელებიც გამოეცხოთ.

– დიახ, ასეა! ქალბატონი სტუმრებს დაქორწინებაზე ეუბნებოდა რალაცას, მაგრამ სხვის ქორწინებაზე ლაპარაკობდა. გაგონილა, ბლითები ღვეზელებით შეცვალო?!

ჩენჩა, როგორც სჩვეოდა, ახლაც არეულ-დარეულად ჰყვებოდა სასტუმრო ოთახში ნანახსა და გაგონილს. ტიტამ იცოდა, რომ გოგონას ტყუილები უყვარდა და საკუთარი წარმოსახვის ხაფანგში ებმებოდა ხოლმე, ამიტომ გადაწყვიტა, იმედი არ დაეკარგა და მოახლის ნათქვამი არ დაეჯერებინა. სიმშვიდის შენარჩუნება სცადა და ტელერას<sup>1</sup> დაჭრა განაგრძო, რომელშიც მოგვიანებით მის და ნაჩას დებს შიგთავსი უნდა ჩაედოთ.

შინ გამომცხვარი ტელერა მეტად ფასობს, მაგრამ თუ ამის საშუალება არ არის, საცხობში უფრო მცირე ზომის პურებს უკვეთავენ, რადგან დიდები ღვეზელებისთვის არ გამოდგება. შიგთავსის ჩადების შემდეგ ტელერას ნაჭრებს ათი წუთით ღუმელში ათავსებენ და სუფრაზე ცხელ-ცხელი მიაქვთ. თუმცა უკეთესია, თუ მათ ტილოში გაახვევთ და მთელი ღამით ღია ცის

---

<sup>1</sup> სხვადასხვა ფორმის თეთრი პური.

ქვეშ დატოვებთ, რათა ჩორიზოს ცხიმი კარგად შეიწოვოს. ის-ის იყო, ტიტამ ღვეზელებში შიგთავსის ჩადება დაამთავრა, რომ სამზარეულოში დედა ელენა შემოვიდა და განაცხადა, პედროს მხოლოდ როსაურას გავატან ცოლად.

ჩინჩას სიტყვები დადასტურდა და იმ წუთას ტიტას მთელ სხეულში საშინელმა სიცივემ დაუარა. ამ შეგრძნებამ გოგონას ლოყები აუწვა და იმ ვაშლებივით გაუწითლა, ახლა მის წინ, მაგიდაზე რომ ეწყო. ამ ყინულოვან თოშს კიდევ დიდხანს გრძნობდა ტანში და ის ვერც ნაჩას მონაყოლმა გაუქარწყლა, რომელსაც, ამასობაში, პედრო და მამამისი რანჩოს ჭიშკრამდე მიეცილებინა და მათი ლაპარაკი მოესმინა. ნაჩა თურმე წინ მიუძღოდა სტუმრებს, ისინი კი ნელი ნაბიჯით მიუყვებოდნენ ეზოს და, აღელვების მიუხედავად, საკმაოდ ხმადაბლა ლაპარაკობდნენ. საუბარი კი ასეთი შინაარსის იყო:

– ეს რა ჩაიღინე, პედრო? ვერ ხედავ, რა სულელურ მდგომარეობაში აღმოვჩნდით, როცა როსაურას ცოლად შერთვაზე თანხმობა განაცხადე? სად გაქრა ის სიყვარული, ტიტას რომ ეფიცებოდი? რატომ გატეხე სიტყვა?

– სიტყვა არ გამიტენავს, მაგრამ როცა ასე გადაჭრით გეუბნებიან უარს იმ ქალზე, რომელიც გიყვარს, განა მის სიახლოვეს ყოფნის ერთადერთი გზა მის დაზე დაქორწინება არ არის?! დავიჯერო, თქვენ ასეთივე გადაწყვეტილებას არ მიიღებდით?!

ნაჩამ პასკუალის პასუხი ველარ გაიგონა, რადგან ძალღიპი პულკე ყეფით გამოუდგა ბოცვერს, რომელიც, როგორც ჩანს, კატა ეგონა.

– ესე იგი, უსიყვარულოდ ქორწინდები?

– არა, მამა, ტიტასადმი უსაზღვრო და მარადიული სიყვარულის გამო ვქორწინდები.

პედროს და პასკუალის ფეხქვეშ ხმელ ფოთლებს შარიშური გაუდიოდა, ამიტომ ნაჩას მათი ხმები სულ უფრო ბუნდოვნად

ესმოდა. საოცარი ის იყო, რომ ამ ნახევრად ყრუ ქალმა მამა-შვილის საუბარი მაინც გაიგონა.

რა თქმა უნდა, ტიტა ნაჩას მაღლიერი იყო, მაგრამ მისი ნაამბობის შემდეგ მაინც საშინელ სიცივეს გრძნობდა პედროს მიმართ. ამბობენ, ყრუს არ ესმის, მაგრამ თავად შეუძლია შეთხზასო. ჰოდა, ვინ იცის, იქნებ ნაჩამ მხოლოდ ის გაიგონა, რისი გაგონებაც სურდა?! იმ ღამით ტიტას თვალი არ მოუხუჭავს და ეს ბუნებრივიც იყო, მაგრამ სიტყვებით ვერაფრით ახსნიდა იმას, რასაც გრძნობდა. დასანანია, რომ იმხანად ჯერ კიდევ არაფერი იცოდნენ სამყაროში არსებული შავი ხვრელის შესახებ, თორემ კაცი ადვილად მიხვდებოდა, რომ გოგონას გული სწორედ შავ ხვრელად ქცეულიყო, საიდანაც ეს აუტანელი სიცივე აღწევდა მის სულში.

დახუჭავდა თუ არა თვალებს, ტიტას შარშანდელი შობის ღამე წარმოუდგებოდა, როცა პედრო ოჯახთან ერთად პირველად ეწვია მათ სტუმრად და მთელ სხეულში სიცივე დაუვლიდა, რომელიც სულ უფრო აუტანელი ხდებოდა და სულს უხუთავდა. გოგონას კარგად ახსოვდა ის ღამე, ნაირ-ნაირი სურნელი, ახლად მოპრიალეულ იატაკზე ახალი კაბების შარიშური, პედროს მზერა... ის მზერა! ტიტა სტუმრებს კვერცხის უღვთი უმასპინძლდებოდა, როცა პირველად იგრძნო მისი მხურვალე მზერა. გვერდზე რომ გაიხედა, პედროს თვალებს შეეფეთა და ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს მდულარე ზეთში ჩააგდეს. სწორედ მაშინ მიხვდა, რას გრძნობდა ფუნჩულას ცომი, როცა ცხელ ზეთში აღმოჩნდებოდა ხოლმე. ეს შეგრძნება იმდენად ხელშესახები იყო, რომ ერთიანად მოიცვა ტიტას სხეული და შიშმაც აიტანა, ვაითუ სახე, მუცელი და მკერდი ერთიანად ბებრებით დამეფაროსო. გოგონამ ვერ გაუძლო პედროს მზერას, თავი დახარა და საჩქაროდ გადაკვეთა სასტუმრო ოთახი. ჯერ ხერტრუდისსთან მივიდა, რომელიც პიანინოს მისჯდომოდა და ვალსს, „ყმაწვილურ მზერას“ უკრავდა, მერე დაბნეულმა ლან-

გარი მაგიდაზე დადგა, „ნოიოს“ ლიქიორით სავსე ჭიქას დაავლო ხელი და მეზობელს, პაკიტა ლობოს მიუჯდა გვერდით. ახლა პედრო უკვე მისგან მოშორებით იჯდა, მაგრამ ტიტა აღარაფრად ვარგოდა. ძარღვებში სისხლის მოზღვავენას გრძნობდა, ლოყები ასწითლებოდა და აზრებს თავს ვერ უყრიდა. პაკიტამ შენიშნა გოგონას აფორიაქება და ჰკითხა:

- რა გემრიელი ლიქიორია, არა?
- მაპატიეთ, რა თქვით?
- ძალიან დაბნეული მეჩვენები, ტიტა, ხომ კარგად ხარ?
- დიახ, გმადლობთ.

- რადგან დიდი გოგო ხარ, საგანგებო შემთხვევაში შეგიძლია ლიქიორიც დალიო, მაგრამ დედაშენმა დაგროთ ნება? ამას იმიტომ გეკითხები, რომ აღგზნებული მეჩვენები და ერთიანად ცახცახებ, - უთხრა პაკიტამ და ნალვლიანად დასძინა, - ისე კი უმჯობესია, თუ აღარ დალევ, რადგან სტუმრებთან თავის შერცხვენა ნამდვილად არ ღირს!

ტიტამ კი გაიფიქრა: ესლა მაკლია, პაკიტა ლობომ იფიქროს, მთვრალიაო, და რაკი ასე ეჭვის თვალით მიყურებს, ალბათ, გაიქცევა და დედაჩემს ენას მიუტანსო. ამის გაფიქრებაზე გოგონა ისეთმა შიშმა აიტანა, რომ პედროს არსებობა სულმთლად გადაავიწყდა. მერე თავს ძალა დაატანა, შეეცადა პაკიტასთვის ეჭვები გაეფანტა და დაერწმუნებინა, რომ სავსებით ფხიზელი იყო. ჰოდა, იძულებული გახდა, მასთან ათასგვარ სისულელეზე ესაუბრა. ბოლოს მეზობელს ისიც გაუმხილა, როგორ მზადდებოდა ლიქიორი „ნოიო“, რომელიც მისი „აფორიაქების“ მიზეზად იქცა. ამ ლიქიორს შემდეგი რეცეპტით ამზადებდნენ: ოთხ უნცია ატმის და ნახევარი გირვანქა გარგარის კურკებს ოცდაოთხი საათის განმავლობაში ერთ ასუმბრე<sup>1</sup> წყალში ყრიან დასარბილებლად; მერე კურკებს ამტვრევენ, არჩევენ და ორ ასუმბრე არაყში

---

<sup>1</sup> სითხის საზომი ერთეული = 2,6 ლიტრს.



თხუთმეტი დღე აჩერებენ; ცალკე წყალში ორ-ნახევარ ფუნტ შაქარს გახსნიან, ოთხ უნცია ფორთოხლის ესენციას დაამატებენ, ამ ყველაფერს არაყში გამოყვანილ კურკებში აურევენ და დოლბანდში გაწურავენ. ბოლოს კი, პაკიტას ყველა ეჭვი რომ გაებათილებინა, ტიტამ ისიც დასძინა, ერთი ასუმბრე 2,016 ლიტრია, არც მეტი, არც ნაკლებიო.

ცოტა ხანში, როცა მათ დედა ელენა მიუახლოვდა და სტუმარს ჰკითხა, როგორი კმაყოფილი ხართ წვეულებითო, პაკიტამ ხალისიანად მიუგო:

– მშვენიერი წვეულებაა და ქალიშვილებიც არაჩვეულებრივი გყავთ. მათთან საუბარს მართლაც რომ არაფერი სჯობია.

დედა ელენამ ტიტას უბრძანა, სამზარეულოში გასულიყო და სტუმრებისთვის ბუტერბროდები შემოეტანა. ამ დროს პედრო მის გვერდით შემთხვევით სულაც არ აღმოჩნდა და გოგონას დახმარება შესთავაზა. ტიტას პედროს სიახლოვე აფორიაქებდა, ამიტომ პასუხის გაცემა ვერ მოახერხა და სამზარეულოს მიაშურა. იქ ლანგარზე მადისაღმძვრელი ბუტერბროდები უკვე ელოდნენ თავიანთ განაჩენს და, როცა ორივემ დაბნეულობის გამო ერთდროულად დაავლო ლანგარს ხელი და გოგონამ ვაჟის შეხება იგრძნო, მიხვდა, რომ ეს წამიერი შეხება არასოდეს დაავიწყდებოდა. ეს ის წუთები იყო, როცა პედრო ტიტას სიყვარულში გამოუტყდა:

– სენიორიტა ტიტა, ვისარგებლებ შემთხვევით, რომ მართო აღმოვჩნდით და, გამოგიტყდებით, რომ ძალიან მიყვარხართ. ჩემი ეს აღიარება ნაჩქარევია და თავხედურადაც ჟღერს, მაგრამ სხვა დროს ვერსად მოგიხელთეთ, ამიტომ იძულებული ვარ, ეს ახლა გითხრათ და მხოლოდ ის მინდა ვიცოდე, თუ შემიძლია, თანაგრძნობის იმედი მქონდეს.

– არც კი ვიცი, რა გიპასუხოთ, დრო მომეცით მოსაფიქრებლად.

– არა, პასუხი ახლავე უნდა ვიცოდე. სიყვარულს ფიქრი არ სჭირდება, მას ან გრძნობ, ან არა. ბევრი ლაპარაკი არ მეხერ-

ხება, მაგრამ პატიოსან სიტყვას გაძლევთ, სამუდამოდ მიყვარებით. ახლა თქვენ მითხარით, გიყვარვართ თუ არა?

– დიახ, მიყვარხართ!

დიახ, დიახ და ათასჯერ დიახ! ტიტას პედრო იმ ღამიდან სამუდამოდ შეუყვარდა და გამოუტყდა კიდეც, მაგრამ ახლა მასზე სამუდამოდ უნდა ეთქვა უარი. განა წესიერი საქციელი იყო საკუთარი დის მომავალი ქმრის სიყვარული?

ძილის წინ ტიტამ გონებიდან ამ ფიქრების განდევნა სცადა. მერე საშობაო ღვეზელი გასინჯა, რომელიც ნაჩამ ჭიქა რძესთან ერთად მაგიდაზე დაუდგა, რადგან გამოცდილებით იცოდა, რომ ეს ღვეზელი გოგონას ყოველგვარ დარდს გაუქარვებდა, თუმცა ამჯერად ასე არ მოხდა. ტიტა მუცელში საშინელ სიცარიელეს გრძნობდა, გულისრევის შეგრძნებაც ჰქონდა, მაგრამ ეს შიმშილის კი არა, ყინულივით ცივი ტკივილის ბრალი იყო. აუცილებლად უნდა გათავისუფლებულიყო ამ შემაწუხებელი სიცივისგან. თბილად ჩაიცვა და სქელი საბანი დაიხურა, მერე წინდებიც ამოიცვა, საბნებიც დაიმატა, მაგრამ ამაოდ. ბოლოს ხელსაქმის კალათიდან საქსოვი ამოიღო. ეს ის საწოლზე გადასაფარებელი იყო, რომლის ქსოვაც ტიტამ იმ დღეს დაიწყო, პედრომ ცოლობა რომ სთხოვა. გადასაფარებელს ყაისნალით ქსოვდა და მის დამთავრებას დაახლოებით ერთ წელიწადში, ქორწილის დღისთვის ფიქრობდა. ახლა კი, ნაცვლად იმისა, რომ გადასაფარებლის დარღვევა დაეწყო, ტიტამ შეპყრობილივით განაგრძო ქსოვა. ქსოვდა და თან ტიროდა. ქსოვასა და ტირილში თავზე დაათენდა. მერე დაწვა, გადასაფარებელი დაიხურა, მაგრამ მიხვდა, რომ ყველაფერი ამაო იყო და მის გაყინულ სულს ველარაფერი გაათბობდა.

*გაგრძელება იქნება...*

*შემდეგი რეცეპტი:*

*ტორტი „ჩაბელა“ (საქორწილო)*